



სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3-6

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	11
2. მომზადების საფუძველი	12
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	23
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	23
6. ძირითადი საშუალებები	24
7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	25
8. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნები	25
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	26
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
11. გადავადებული შემოსავალი	27
12. საგადასახადო ვალდებულება	27
13. სესხები	27
14. საკუთარი კაპიტალი	29
15. კაპიტალის მართვა	29
16. შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	30
17. ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	30
18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31
19. არასაოპერაციო შემოსავალი	31
20. პირობითი ვალდებულებები	31
21. ფინანსური რისკი	32
22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	35
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	35

მმართველობითი ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

უარყოფითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და განმარტებით შენიშვნებს, რომელიც მოიცავს არსებით სააღრიცხვო პოლიტიკასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „უარყოფითი დასკვნის საფუძვლის“, აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული რეზერვი წარმოადგენს სხვაობას ძირითადი საშუალებების შეფასებულ ღირებულებასა და ისტორიულ ღირებულებას შორის. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ძირითადი საშუალებების ნაწილის გადაფასებამდე არსებული ისტორიული ღირებულების ნაშთზე, რადგან ჯგუფმა ვერ შეძლო შესაბამისი მტკიცებულებების მოწოდება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა რეზერვის მაჩვენებლის ნაწილზე, რაც ფინანსური მდგომარეობისა და კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 22,455 ათასი ლარით (2023 წლის 31 დეკემბერი: 17,579 ათასი ლარი).

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, შესაბამისად, ჩვენ ვერ დავაკვირდით ჯგუფის მარაგების ინვენტარიზაციას 2024 წლის 31 დეკემბრის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ჩვენ აღტერნატიული პროცედურებითაც ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნული თარიღისთვის არსებული მარაგების ნაშთის სისწორეზე, რომელიც აღიარებულია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და წარმოდგენილია 1,439 ათასი ლარის ოდენობით (2023 წლის 31 დეკემბერი: 1,320 ათასი ლარი). შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან მიმართებით, ასევე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

ჯგუფმა თავისი ერთ-ერთი შვილობილი კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების გარკვეული ერთეულები გადააფასა. თუმცა, ჯგუფმა მთლიანად არ გადააფასა ძირითადი საშუალებების ის კლასები, რომელშიც აღნიშნული ერთეულები შედის, როგორც ამას მოითხოვს ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“. ჩვენთვის შეუძლებელია განვსაზღვროთ აღნიშნული გადახვევის ზუსტი ფინანსური ეფექტი, რომელიც გავლენას ახდენს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებებისა და გადაფასების რეზერვის ნაშთებზე, ასევე მათთან დაკავშირებულ ელემენტებზე, რომლებიც ასახულია ჯგუფის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებში აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა“ (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს უარყოფითი აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

სხვა გარემოებები

ჯგუფის 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც მარაგების სისრულესა და არსებობაზე, ასევე ძირითადი საშუალებების ნაწილის გადაფასებამდე არსებული ისტორიული ღირებულებების ნაშთთან დაკავშირებით მოდიფიცირებული დასკვნა გამოსცა 2024 წლის 31 დეკემბერს.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშის წაკითხვას, და შესაბამისად იმის განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს.

როგორც განმარტებულია ჩვენი უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის სექციაში, ჩვენ არ შეგვეძლო დასკვნის გამოტანა საჭირო შეიძლება ყოფილიყო თუ არა კორექტირება ძირითად საშუალებებთან, მარაგებთან, გადაფასების რეზერვთან და მათთან დაკავშირებულ ელემენტებთან მიმართებაში, რომლებიც შეადგენენ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებებისა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის.

ჩვენ არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მარწმუნებელ მოსაზრებას მმართველობით ანგარიშთან დაკავშირებით. ჩვენ გავეცანით მმართველობით ანგარიშს და ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე ვასკენით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ და მასთან შესაბამისობაში მყოფ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფასს-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენ მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ასს-ს საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:



მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025 წელი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 4

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025 წელი

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	41,500	37,568
არამატერიალური აქტივები		6	7
სულ გრძელვადიანი აქტივები		41,506	37,575
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	7	1,439	1,320
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნები	8	901	1,256
დაკავებული ფულადი სახსრები		37	37
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	811	1,659
სულ მიმდინარე აქტივები		3,188	4,272
სულ აქტივები		44,694	41,847
საკუთარი კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი		34,944	34,944
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		22,455	17,579
დაგროვილი ზარალი		(18,685)	(15,889)
სულ საკუთარი კაპიტალი	14	38,714	36,634
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,023	847
გადასახდელი ხელფასები		887	748
გადავადებული შემოსავალი	11	2,284	2,924
საგადასახადო ვალდებულებები	12	1,266	223
სესხები	13	520	471
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,980	5,213
სულ ვალდებულებები		5,980	5,213
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		44,694	41,847

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 11-35 გვერდებზე.

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	16	15,540	15,878
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	17	(15,171)	(15,195)
საერთო მოგება		369	683
ადმინისტრაციული ხარჯები	18	(3,531)	(2,823)
საოპერაციო ზარალი		(3,162)	(2,140)
არასაოპერაციო შემოსავალი	19	370	2,540
არასაოპერაციო ხარჯი		(16)	(201)
საპროცენტო ხარჯი	13	(49)	(73)
საპროცენტო შემოსავალი		164	57
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული ზარალი		(103)	(26)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(2,796)	157
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა (ზარალი)/მოგება		(2,796)	157
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული (ზარალი)/შემოსავალი		(2,796)	157

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი
 ზაზა ავალიანი

ბუღალტერი
 ლალი ბუხრაშვილი



სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	16	15,540	15,878
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	17	(15,171)	(15,195)
საერთო მოგება		369	683
ადმინისტრაციული ხარჯები	18	(3,531)	(2,823)
საოპერაციო ზარალი		(3,162)	(2,140)
არასაოპერაციო შემოსავალი	19	370	2,540
არასაოპერაციო ხარჯი		(16)	(201)
საპროცენტო ხარჯი	13	(49)	(73)
საპროცენტო შემოსავალი		164	57
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული ზარალი		(103)	(26)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(2,796)	157
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა (ზარალი)/მოგება		(2,796)	157
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული (ზარალი)/შემოსავალი		(2,796)	157

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი
 ზაზა ავალიანი

ბუღალტერი
 ლალი ბუხრაშვილი

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	განთავსებული კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	36,748	17,579	(16,046)	38,281
წლის სრული ზარალი	-	-	157	157
კაპიტალის ზრდა	834	-	-	834
კაპიტალის შემცირება	(2,638)	-	-	(2,638)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	34,944	17,579	(15,889)	36,634
წლის სრული ზარალი	-	-	(2,796)	(2,796)
გადაფასების რეზერვი	-	4,876	-	4,876
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	34,944	22,455	(18,685)	38,714

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 11-35 გვერდებზე.

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“
 ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(2,796)	157
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	6	1,441	1,458
შემოსულობა ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ გადმოცემიდან		(306)	(943)
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან		24	68
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	8	61	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან		103	27
საპროცენტო შემოსავალი		(164)	(57)
საპროცენტო ხარჯი	13	49	73
		(1,588)	783
<i>ცვლილებები:</i>			
სასაქონლო მატერიალურ მარაგები	7	(119)	338
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნები	8	294	(174)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	176	(514)
გადასახდელი ხელფასები		86	13
გადავადებული შემოსავალი	11	(640)	333
საგადასახადო ვალდებულებები	12	1,043	(269)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ და გადახდილ პროცენტებამდე		(748)	510
პროცენტის გადახდა		-	(3)
მიღებული პროცენტი		164	57
წმინდა ფულადი ნაკადები (გამოყენებული)/მიღებული საოპერაციო საქმიანობაში		(584)	564
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(214)	(787)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(2)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(214)	(789)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები და კრედიტები	13	-	920
მიღებული სესხების დაფარვა	13	-	(520)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საფინანსო საქმიანობიდან		-	400
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(798)	175
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(50)	7
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,659	1,477
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	811	1,659

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 11-35 გვერდებზე.

1. ძირითადი საქმიანობა

(ა) ორგანიზაცია და ოპერაციები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგება მოიცავს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს.

კომპანია დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2001 წლის 15 იანვარს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 202172139.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის ააიპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა, რომელიც წარმოდგენილია დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახით. კომპანია ფლობს შემდეგ შვილობილ საწარმოებს 100%-იანი წილით 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

- შპს „თბილისის N1 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა“ (ს/კ 206051074);
- შპს „თბილისის N2 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა“ (ს/კ 202050895);
- შპს „აბასთუმნის ფილტვის ცენტრი“ (ს/კ 222717246);

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში ჩართული ტუბერკულოზით დაავადებული საქართველოს მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების გაწევა.

ჯგუფის სარეგისტრაციო მისამართია: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, აჭარის ქ. N8, თბილისი, საქართველო. ჯგუფის მთავარი ოფისი მდებარეობს მის სარეგისტრაციო მისამართზე.

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად, ჯგუფზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარებიან და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, ხელს უწყობს გამოწვევებს, რომელიც საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშეა.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია ასევე მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე.

აღნიშნულმა მოვლენებმა საქართველოს ეკონომიკაზეც იქონია გავლენა და ქვეყნის ეკონომიკა ზემოთ აღწერილის შესაბამისად ექვემდებარება მომავალ გაურკვევლობებს; მეორე მხრივ, საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ წელიწადში 6,7%-ით გაიზარდა 2024 წლის დეკემბერში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ 2025 წლის 31 იანვარს გამოცემული სწრაფი შეფასების მიხედვით. ამასთან, წინა წელთან შედარებით მოსალოდნელმა რეალურმა მშპ-ის ზრდამ 2024 წელს 9.5% შეადგინა. „საქსტატის“ მონაცემებით, 2024 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციის დონემ 1,9% შეადგინა.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე. ბიზნეს გარემო მომავალში შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობისობა

ჯგუფმა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით.

(ბ) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა გარკვეული შემთხვევებისა, რაც შესაბამისად არის ნახსენები დასკვნაში.

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

(დ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ჯგუფის საბოლოო მფლობელი არის სახელმწიფო, ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, არსებული გეგმები და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

(ა) კონსოლიდაციის საფუძველი

i. შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად მონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ მონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან, მისი დასრულების თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა, როდესაც საჭირო გახდა მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებზე მორგება.

ii. კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები

ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი ჯგუფის შიდა ნაშთები და ოპერაციები, ასევე ნებისმიერი ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები, ელიმინირდება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ბ) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომელსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე ჯგუფის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშებში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

აქტივად აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები აღირიცხება გადაფასების მოდელით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით ან/და გაუფასურების ღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშებში ცვეთის წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ძირითადი საშუალების ჯგუფი

სასარგებლო პერიოდის ვადა

შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა დანადგარები	7 წელი
მიწა	არ იცვითება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის ხდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც ჯგუფი მიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

(გ) არამატერიალური აქტივი

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები ფასდება მათი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(გ) არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ხდება მისი შეფასება გაუფასურებაზე როდესაც არსებობს ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურდეს. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(დ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

(ე) იჯარები

ჯგუფი აფასებს ხელშეკრულების დაწყებისას ხელშეკრულებას, არის თუ არა იგი მთლიანად იჯარა ან შეიცავს თუ არა იჯარას. ანუ, ითვალისწინებს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივის სარგებლობის კონტროლის უფლებას პერიოდის განმავლობაში.

ჯგუფი როგორც მიიჯარე

იჯარები, რომლებზეც ჯგუფი არ გადასცემს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე საიჯარო ვადის განმავლობაში.

(ვ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფმა აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

ჯგუფი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნეს მოდელიდან და სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

ჯგუფი ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

ჯგუფის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

ჯგუფის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია ჯგუფის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით ჯგუფის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარად ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია). ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, ჯგუფი მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ჯგუფმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ჩამოწერა

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც ჯგუფი შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგება- ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

(ზ) ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასად, რომელიც ითვლება სამართლიან ღირებულებად წარმოქმნის თარიღისთვის. ამის შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რასაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ჯანდაცვიდან მისაღები ანგარიშების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ გარკვეული მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შეიძლება ვერ მოხერხდეს და გაუფასურების ზარალი აღირიცხება კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალში.

ჯანდაცვიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	361 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	10%	25%	50%	100%

(თ) სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ჯგუფი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

შეზღუდული ბალანსები არ შედის ფულად საშუალებებში და მის ეკვივალენტში ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. ბალანსები, რომლებიც შეზღუდულია, რომ იყოს გაცვლილი ან გამოყენებული ვალდებულების ანგარიშსწორებისთვის სულ მცირე თორმეტი თვით სააღრიცხვო პერიოდიდან, შედის შეზღუდულ ფულად საშუალებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფარგლებში.

(კ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

(ლ) საკუთარი კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი

ჯგუფის განთავსებული კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლისგან გადმოცემულ გრძელვადიან აქტივს ან კონტრიბუციას. კაპიტალში არაფულადი შენატანის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება აკუმულირებულ ზარალში.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

(მ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(მ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:
- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ნ) შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავალი

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა. ასევე მას გააჩნია დამატებითი შემოსავლის წყაროები საერთაშორისო კვლევებიდან მიღებული შემოსავალი, იჯარიდან მიღებული შემოსავალი.

ამონაგებს მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან ჯგუფი აღიარებს მომსახურების კონტროლის გადაცემისას მომხმარებელზე იმ ღირებულებით, რომელიც ასახავს იმ საზღაურს, რომლის გადახდასაც ჯგუფი მოელის გადაცემული მომსახურების სანაცვლოდ. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება.

შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან

ჯგუფის მიერ კლიენტებისთვის გაწეული ჯანდაცვის მომსახურების მოთხოვნა კმაყოფილდება დროთა განმავლობაში, თუ მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს ჯგუფისგან მიღებულ სარგებელს. ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურებისთვის მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიან ღირებულებას, და შედგება შემდეგი კომპონენტისგან:

- ჯანდაცვის მომსახურების შემოსავალი სახელმწიფოსგან: ჯგუფი სახელმწიფო პროგრამით დაზღვეული პირებისგან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპსა და შეთანხმებული პირობების შესაბამისად.
- ჯანდაცვის მომსახურების შემოსავალი სადაზღვევო კომპანიებისგან: ჯგუფი სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიების მიერ დაზღვეული პირებისგან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპსა და შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ნ) შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

- ჯანდაცვის მომსახურებიდან თანაგადახდის შედეგად მიღებული შემოსავალი: ჯგუფი თანაგადახდიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპსა და შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

შემოსავალი კვლევებიდან მიღებული მომსახურებიდან

ჯგუფი სხვადასხვა საერთაშორისო ფონდებთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებების შესაბამისად ახორციელებს სხვადასხვა სამედიცინო კვლევებში მონაწილეობის მიღებას. აღნიშნულ მომსახურებას ჯგუფი აღიარებს ფაქტობრივად გაწეული კვლევითი მომსახურების დასრულების ეტაპი პერიოდში.

შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან

საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან აღიარდება შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის განმავლობაში.

გაცემული საიჯარო შეღავათები აღიარდება მთლიანი საიჯარო შემოსავლის განუყოფელი ნაწილის შემოსავლის სახით, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

ჯანდაცვის მომსახურების ღირებულება წარმოადგენს გაწეული ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის სამედიცინო პერსონალის ხელფასებსა და გასამრჯელოს, მასალებსა და მარაგებს, კომუნალურ მომსახურებისა და სხვა პირდაპირ ხარჯებს.

ადმინისტრაციული ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

(ო) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ჯგუფი დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან. ჯგუფს არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

(პ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს, რომელიც არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ბ) მოგების გადასახადი (გაგრძელება)

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადანაწილდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა- ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებისგან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე

იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ. შედეგად ჯგუფი წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

(გ) მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

ჯგუფმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინდივიდუალურად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. ჯგუფმა აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ჟ) მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები (გაგრძელება)

- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები. ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

(რ) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის

ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

(ს) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ოპერაციები შეფასების ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსის ცვლილებათა გავლენა“ და ფაისკ ინტერპრეტაცია 22-ის „უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარ გადახდა“ მოთხოვნების შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგი აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში- „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღეს კურსით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელის გამოყენებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
	2024	2023	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
1 აშშ დოლარი	2.7208	2.6279	2.8068	2.6894
1 ევრო	2.9440	2.8416	2.9306	2.9753

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებების თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები და სამართლიანი ღირებულება

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად. ჯგუფი იყენებს ძირითადი საშუალებების გადაფასების მოდელს. ძირითად საშუალებას, რომლის სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, ჯგუფი აფასებს გადაფასებული ღირებულებით (რაც გადაფასების მომენტისათვის მისი რეალური ღირებულების ტოლი იქნება), შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. როდესაც ძირითადი საშუალების რომელიმე ობიექტის გადაფასება ხდება, მთლიანად ვასდება ძირითადი საშუალებების ის კლასი, რომელსაც მოცემული აქტივი მიეკუთვნება.

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურება

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა ჯგუფის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული მომხმარებლების ანგარიშების ამოღება. თუ არსებობს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესების ნიშნები, შესაბამისად მისაღები ანგარიშები გაუფასურებულად ჩაითვლება. ამგვარი გაუარესების ნიშნების დადგენის მთავარი კრიტერიუმია მომხმარებლების მიერ დავალიანების დაფარვის ხარისხი, რომელიც ფასდება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობით (ე.ი. რამდენი დღით დაგვიანდა გადახდა). მომხმარებლების მიერ მიმდინარე და ძველი დავალიანების დაფარვის შესაბამისი ანალიზის საფუძველზე ჯგუფი განსაზღვრავს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გამოიყენება სათანადო დარეზერვების განაკვეთი, რომელიც ასახავს დავალიანების დაფარვის კონკრეტულ კატეგორიასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტების, რომლებიც ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ, და უფრო ადრეული გამოყენება ნებადართულია; თუმცა, ჯგუფს არ გამოუყენებია ახალი ან შესწორებული სტანდარტები ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ქვემოთ ჩამოთვლილ ახალ და შესწორებულ სტანდარტებს არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე;

- ფასს (IFRS) 18 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“
- ბასს (IAS) 21-ის ცვლილება: „ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“
- ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები).

6. ძირითადი საშუალებები

ჯგუფის ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	მიწის ნაკვეთები	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	სულ
საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 1 იანვარი	11,298	25,822	4,760	41,880
შემოსვლა	820	708	1,036	2,564
გასვლა	(1,907)	(805)	(81)	(2,793)
2023 წლის 31 დეკემბერი	10,211	25,725	5,715	41,651
შემოსვლა	-	-	524	524
გასვლა	-	-	(121)	(121)
გადაფასება	1,433	2,758	681	4,872
2024 წლის 31 დეკემბერი	11,644	28,483	6,799	46,926
დაგროვილი ცვეთა				
2023 წლის 1 იანვარი	-	(1,375)	(1,340)	(2,715)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(726)	(730)	(1,456)
ცვეთის ჩამოწერა	-	74	14	88
2023 წლის 31 დეკემბერი	-	(2,027)	(2,056)	(4,083)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(660)	(780)	(1,440)
ცვეთის ჩამოწერა	-	-	97	97
2024 წლის 31 დეკემბერი	-	(2,687)	(2,739)	(5,426)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 31 დეკემბერი	10,211	23,698	3,659	37,568
2024 წლის 31 დეკემბერი	11,644	25,796	4,060	41,500

6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შვილობილი კომპანიის (შპს „აბასთუმნის ფილტვის ცენტრი“) საშუალებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისათვის, ხელმძღვანელობამ დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი. შვილობილი კომპანიის ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 10,246 ათასი ლარის ოდენობით.

შვილობილი კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისა და მანქანა-დანადგარების რეალური ღირებულება განისაზღვრა საბაზრო მიდგომის მიხედვით. ეს მეთოდი ითვალისწინებს შესაფასებელი ობიექტის პირდაპირ შედარებას იმ ანალოგების მონაცემებთან, რომლებიც გაყიდულ იქნა ან რომლებიც განცხადებული არიან გასაყიდად. შედარების პროცესისათვის მიწის ნაკვეთების აუცილებელი შესადარისი ანალოგების მოძიების მიზნით შემფასებელმა შეარჩია ბაზრის სეგმენტი (ადგილმდებარეობის მიხედვით), ხოლო მანქანა-დანადგარებისთვის - მეორადი ინვენტარის ბაზარი და ახალი ინვენტარის ბაზარი და განახორციელა რეგისტრირებული გაყიდვებისა და გაყიდვებზე შეთავაზებების ანალიზი.

შვილობილი კომპანიის შენობა-ნაგებობის რეალური ღირებულება განისაზღვრა დანახარჯების მიდგომის მიხედვით. დანახარჯების მიხედვით შეფასებისას შემფასებელი ანგარიშობს გაუმჯობესებების აღდგენით ან ჩანაცვლების ღირებულებას, მოცემულ შემთხვევაში შესაფასებელი შენობისათვის შემფასებელმა შეაფასა მისი ჩანაცვლების ღირებულება. ჩანაცვლების ღირებულება გამოხატავს მსგავსი ფუნქციური გამოყენების გაუმჯობესების (შექმნაზე) გაწეული ხარჯების ღირებულებას შეფასების თარიღისათვის, თანამედროვე სტანდარტებისა და სამშენებლო მასალების გამოყენებით. შემფასებელმა ჩანაცვლების ღირებულება შეაფასა კვადრატული (კუბური) მეტრების შედარების მეთოდის გამოყენებით. მეთოდი დაფუძნებულია შედარებაზე შემდეგი დაშვების გათვალისწინებით, რომ ახლო წარსულში აშენებული შესადარისი შენობის 1 კვ.მ.-ის ან 1კუბ.მ.-ის აშენების დადგენილი ღირებულება წარმოადგენს საფუძველს შესაფასებელი გაუმჯობესების 1კვ.მ. ან 1 კუბ.მ.

ძირითადი საშუალებების დანახარჯების ღირებულების განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გამოავლინა ძირითადი დაშვება, რომლებშიც შესაძლო იყო გონივრულად სავარაუდო ცვლილება, რაც გამოიწვევდა დანახარჯების ღირებულების ცვლილებას. ზემოაღნიშნული შეფასებები განსაკუთრებით მგრძნობიარეა შემდეგ სფეროებში:

- ახალი მშენებლობის ჩანაცვლების დანახარჯების ღირებულების 1 %-ით ზრდა/(შემცირება) გამოიწვევდა მიჩნეული ღირებულების 66 ათასი ლარით ზრდას/(შემცირებას).

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბრი 2024	31 დეკემბრი 2023
სამედიცინო მედიკამენტები და სახარჯი მასალები	1,240	1,148
სათადარიგო ნაწილები	167	151
სხვა	32	21
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,439	1,320

8. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნები

ჯგუფის ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბრი 2024	31 დეკემბრი 2023
სახელმწიფოსგან მისაღები მოთხოვნები	712	884
მუნიციპალიტეტებისგან და სხვა მისაღები მოთხოვნები	223	359
სამედიცინო კვლევებიდან მისაღები მოთხოვნები	81	67
გაუფასურების რეზერვი	(115)	(54)
სულ ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნები	901	1,256

8. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნები (გაგრძელება)

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	(54)	(54)
დარიცხვა წლის განმავლობაში	(61)	-
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	(115)	(54)

ჯგუფმა დანერგა ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ფინანსური ინსტუმენტების მიმართ ჯგუფი აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს: მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; ფულის დროითი ღირებულების; გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

სარეზერვო ანგარიში ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნების მიმართებაში გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის, სანამ ჯგუფი არ მიიღებს დამაკმაყოფილებელ მტკიცებულებას იმისას, რომ შეუძლებელია მართებული თანხის ამოღება; ასეთ შემთხვევაში, თანხა მიიჩნევა უიმედოდ და ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში. ჯგუფს სჯერა, რომ არ არის აუცილებელი გაუფასურების რეზერვი ვადაგადაცილებულ ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნების მიმართებაში, გარდა უკვე გათვალისწინებულისა.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ევროში დენომინირებული	368	1,001
აშშ დოლარში დენომინირებული	277	412
ლარში დენომინირებული	166	246
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	811	1,659

2024 და 2023 წლებში მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული პროცენტი შეადგენს 165 ათას ლარს და 57 ათას ლარს, შესაბამისად.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	929	817
სხვა ვალდებულებები	94	30
სულ სავაჭრო ვალდებულებები	1,023	847

აღნიშნული სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო მასალების შესყიდვის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებას.

სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი. ჯგუფს გააჩნია რისკების მართვის პოლიტიკა, იმისთვის, რომ შესაძლებელი იქნეს ვალდებულებების დროული გადახდა.

11. გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებულ თანხებს სამედიცინო კვლევების დასაფინანსებლად.

12. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება ძირითადად მოიცავს თანამშრომელთა გასამრჯელოებზე დარიცხულ საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებას და ასევე ჯარიმა/საურავებს.

13. სესხები

წინამდებარე შენიშვნაში განსაზღვრულია ინფორმაცია კომპანიის პროცენტისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი სესხები	520	471
სულ სესხები	520	471

13. სესხები (გაგრძელება)

(ა) სესხების ვადა და დაფარვის გრაფიკი

ჯგუფის მიღებული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შედგება:

სესხის გამცემი	პირობა	ვალუტა	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი (%)	გადასახდელი ძირი	გადასახდელი პროცენტი	სულ
ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი	უზრუნველყოფის გარეშე	ლარი	7/3/2023	მოთხოვნამდე	13%	-	2	2
ა.კ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა	უზრუნველყოფის გარეშე	ლარი	4/13/2023	მოთხოვნამდე	14%	400	118	518
სულ მიღებული სესხები						400	120	520

სესხის გამცემი	პირობა	ვალუტა	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი (%)	გადასახდელი ძირი	გადასახდელი პროცენტი	სულ
ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი	უზრუნველყოფის გარეშე	ლარი	7/3/2023	7/13/2023	13%	-	2	2
ა.კ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა	უზრუნველყოფის გარეშე	ლარი	4/13/2023	მოთხოვნამდე	14%	400	69	469
სულ მიღებული სესხები						400	71	471

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

(ბ) ჯგუფის მიღებული სესხების შეჯერება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საწყისი ნაშთი 31/12/2022	-
სესხის აღება	920
საპროცენტო ხარჯი	73
სესხის ძირის დაფარვა	(520)
სესხის პროცენტის დაფარვა	(2)
საწყისი ნაშთი 31/12/2023	471
სესხის აღება	-
საპროცენტო ხარჯი	49
სესხის ძირის დაფარვა	-
სესხის პროცენტის დაფარვა	-
საბოლოო ნაშთი 31/12/2024	520

14. საკუთარი კაპიტალი

ჯგუფის კაპიტალი შედგება განთავსებული კაპიტალისგან, რეზერვისგან და დაგროვილი ზარალისგან.

(ა) განთავსებული კაპიტალი

ჯგუფის განთავსებული კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 34,944 ათას ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: 34,944 ათასი ლარი). ჯგუფის განთავსებული კაპიტალი შედგება ჩვეულებრივ აქციებისგან. 2024 წელს გამოშვებული და განთავსებული აქციების ჯამური რაოდენობა შეადგენს 34,943,529 ცალს (2023 წლის 31 დეკემბერი: 34,943,529 ცალს), რომელთა ერთეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს.

(ბ) დაგროვილი ზარალი

31 დეკემბერი 2024 და 31 დეკემბერი 2023 წლების მდგომარეობით ჯგუფის დაგროვილი ზარალი შეადგენდა 18,685 ათას ლარს და 15,889 ათას ლარს, შესაბამისად.

(გ) ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

31 დეკემბერი 2024 და 31 დეკემბერი 2023 წლების მდგომარეობით ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი შეადგენდა 22,455 ათას ლარს და 17,579 ათას ლარს, შესაბამისად.

15. კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა, ჯგუფი მიზნად ისახავს შეინარჩუნოს ძლიერი კაპიტალური ბაზა, ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ბიზნესის მომავალი განვითარების მხარდასაჭერად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, ჯგუფის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ჯგუფის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება. ამ ზომების გამოყენებით, ჯგუფი მოგების სტაბილურ ზრდას გეგმავს. ჯგუფის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა. ჯგუფი არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

15. კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფის კორექტირებული წმინდა დავალიანების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან არის შემდეგი:

	31-დეკ-24	31-დეკ-23
სულ ვალდებულებები	5,980	5,213
გამოკლებული: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	(811)	(1,659)
წმინდა ვალდებულებები	5,169	3,554
სულ საკუთარი კაპიტალი	38,714	36,634
წმინდა ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან	0.13	0.10

16. შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან

ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი 2024 და 2023 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	7,779	9,618
შემოსავალი სამედიცინო კვლევებიდან	3,895	2,139
სხვა დამფინანსებლები	1,678	1,536
თვითღირებით მოსული პაციენტები (შიდა სტანდარტი)	1,131	1,153
სხვა	1,057	1,432
სულ შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	15,540	15,878

სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან წარმოდგენილია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან მიღებული შემოსავლით.

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება.

ჯგუფი მიმართავს ფასს 15.121-ით გათვალისწინებულ პრაქტიკულ მიზანშეწონილობას და არ წარადგენს ინფორმაციას შეუსრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებაზე განაწილებული გარიგების ფასის აგრეგირებული თანხის შესახებ, რომლის შესაბამისი ხელშეკრულების თავდაპირველი ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

17. ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება 2024 და 2023 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ხარჯები	10,600	9,615
ნედლეულისა და მასალების თვითღირებულება	2,218	2,617
კომუნალური ხარჯები	1,266	787
ცვეთა და ამორტიზაცია	911	1,189
ქვეკონტრაქტორების მიმართ გაწეული ხარჯი	176	987
სულ ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	15,171	15,195

18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ჯგუფის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
ხელფასის ხარჯები	2,013	1,702
ცვეთა და ამორტიზაცია	529	470
გადასახადები	429	47
საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯები	103	80
მიმდინარე რემონტი	63	46
მოთხოვნების გაუფასურება	61	-
მივლინების ხარჯები	54	23
ტრანსპორტის ხარჯები	53	58
ბანკის საკომისიო	29	10
სხვა ხარჯები	197	387
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	3,531	2,823

19. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალი 2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები	306	953
უსასყიდლოდ მიღებული მედიკამენტები	1	909
უსასყიდლო რემონტი	-	655
სხვა	63	23
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	370	2,540

20. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ ჯგუფს დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი. საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

21. ფინანსური რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

რისკის მართვის ფუნქცია ჯგუფის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნები არის რისკების ლიმიტების დადგენა, და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების საფრთხე ამ ლიმიტის ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	811	1,659
დაკავებული ფულადი სახსრები	37	37
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნები	901	1,256
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე	1,749	2,952

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

ჯგუფის მენეჯმენტი განიხილავს გადაუხდელი ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზს და მიჰყვება ვადაგადაცილებულ ბალანსებს. მენეჯმენტი შესაბამისად სათანადოდ მიიჩნევს, წარმოადგინოს ხანდაზმულობის და სხვა ინფორმაცია საკრედიტო რისკის შესახებ, როგორც გადმოცემულია შენიშვნაში 9.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა დაფუძნებულია ერთი ფაქტორის ცვლილებაზე ყველა სხვა ფაქტორების მუდმივად შენარჩუნების ფონზე. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა რომ მოხდეს და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება შესაძლოა იყოს კორელაცია - მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და ცვლილებები უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთში.

21. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოეშვა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	ევრო	აშშ დოლარი	სულ
31 დეკემბერი 2024				
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	166	368	277	811
დაკავებული ფულადი სახსრები	37	-	-	37
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნები	901	-	-	901
სულ ფინანსური აქტივები	1,104	368	277	1,749
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,023)	-	-	(1,023)
მიღებული სესხები	(520)	-	-	(520)
გადასახდელი ხელფასები	(887)	-	-	(887)
საგადასახადო ვალდებულებები	(1,266)	-	-	(1,266)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(3,696)	-	-	(3,696)
წმინდა სავალუტო პოზიცია	(2,592)	368	277	(1,947)
31 დეკემბერი 2023				
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	246	1,001	412	1,659
დაკავებული ფულადი სახსრები	37	-	-	37
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნები	1,256	-	-	1,256
სულ ფინანსური აქტივები	1,539	1,001	412	2,952
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(847)	-	-	(847)
მიღებული სესხები	(471)	-	-	(471)
გადასახდელი ხელფასები	(748)	-	-	(748)
საგადასახადო ვალდებულებები	(223)	-	-	(223)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(2,289)	-	-	(2,289)
წმინდა სავალუტო პოზიცია	(750)	1,001	412	663

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მოცემულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

21. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

‘000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	ლარის გამყარება	ლარის შესუსტება
31 დეკემბერი 2024		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	28	(28)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	37	(37)
31 დეკემბერი 2023		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	41	(41)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	100	(100)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, ჯგუფის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას. ჯგუფი ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა ჯგუფ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება. შემდეგი ცხრილები შედგენილი იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით.

31 დეკემბერი 2024	ერთ წელზე ნაკლები	1-5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	811	-	811
დაკავებული ფულადი სახსრები	37	-	37
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნები	901	-	901
სულ ფინანსური აქტივები	1,749	-	1,749
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,023)	-	(1,023)
მიღებული სესხები	(520)	-	(520)
გადასახდელი ხელფასები	(887)	-	(887)
საგადასახადო ვალდებულებები	(1,266)	-	(1,266)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(3,696)	-	(3,696)
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(1,947)	-	(1,947)
31 დეკემბერი 2023			
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	1,659	-	1,659
დაკავებული ფულადი სახსრები	37	-	37
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნები	1,256	-	1,256
სულ ფინანსური აქტივები	2,952	-	2,952
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(847)	-	(847)
მიღებული სესხები	(471)	-	(471)
გადასახდელი ხელფასები	(748)	-	(748)
საგადასახადო ვალდებულებები	(223)	-	(223)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(2,289)	-	(2,289)
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	663	-	663

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს ჯგუფში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს; გ) ჯგუფის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით ჯგუფის მიღებული სესხები აქვს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან, რომლის ნაშთი შეადგენს 520 ათას ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: 471 ათასი ლარი) და მასზე დარიცხული პროცენტი შეადგენს 49 ათას ლარს (2023: 73 ათასი ლარი).

წამყვანმა ხელმძღვანელობამ 2024 და 2023 წლების განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასები კატეგორიაში:

	2024	2023
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ხელფასები	362	317
სულ	362	317

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ, ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ან ტრანზაქცია, რომელიც საჭიროებდა კორექტირებას ან ასახვას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წელი

ჯგუფი და მისი მართვა

აქციონერთა საერთო კრება

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ 100% სახელმწიფოს მიერ მფლობელობაში მყოფ ორგანიზაციაა. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს და საკუთარი საქმიანობის წარმართვისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით. ჯგუფი შედგება მშობელი კომპანიისგან სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ -სგან და მისი 100% შვილობილებისგან: 1. შპს „თბილისის N1 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა“, 2. შპს „თბილისის N2 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა“, 3. შპს „აბასთუმნის ფილტვის ცენტრი“.

დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ანხორციელებს დირექტორი.

მართვის სტრუქტურა

ჯგუფში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

1. საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

1.1. საქმიანობის მიმოხილვა

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ 100% სახელმწიფოს მიერ მფლობელობაში მყოფი საწარმოა, რომლის პროგრამულ მიზანს 2019 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №674 „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ მიხედვით ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირება, ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის განვითარების პრევენცია წარმოადგენს.

ჯგუფი ოპერირებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე და მის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე და საქართველოში მყოფი ბაქტერიაგამომყოფი (მგბ+) პირები და პათიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირები, კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ქონის მიუხედავად.

ჯგუფში შემავალი კომპანიები (მშობელი კომპანიის გარდა) ახორციელებენ მხოლოდ ამბულატორიულ მომსახურებას, გარდა „შპს აბასთუმნის ფილტვის ცენტრისა“, რომელიც როგორც ამბულატორიულ აგრეთვე სტაციონალური სამედიცინო სერვისის მიმწოდებელია და მის მიზანს საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, ფილტვის ქრონიკული დაავადებების რეაბილიტაცია წარმოადგენს.

1.2. საწარმოს განვითარების გეგმები

ტუბერკულოზი კვლავ რჩება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემად ქვეყანაში. ტუბერკულოზი საქართველოში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. გასული ათწლეულის განმავლობაში ტუბერკულოზის კონტროლის თვალსაზრისით მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატების მიუხედავად, ქვეყანა დგას რიგი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, რომლებიც მოითხოვს შემდგომ გაძლიერებულ და კარგად ორგანიზებულ ძალისხმევას ეპიდემიის ეფექტიანი კონტროლის განსახორციელებლად დაავადების ყველა ფორმის პრევენციაზე, დიაგნოსტიკისა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით. ასევე მნიშვნელოვანია ტუბერკულოზის კონტროლის ღონისძიებების ეფექტური მართვა და ინტეგრაცია ჯანდაცვის სისტემაში.

საქართველოში ტუბერკულოზის კონტროლის სტრატეგიის მიზანია ტუბერკულოზის ტვირთის და მისი გავლენის შემცირება ქვეყნის ერთიან სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, ტუბერკულოზის ყველა ფორმის დროულ და ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, რაც შეამცირებს დაავადების გავრცელებას და მასთან დაკავშირებულ სიკვდილობას და მოახდენს წამალ-რეზისტენტობის შემდგომი განვითარების პრევენციას.

მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები

1. ადრეულ და ხარისხიან დიაგნოსტიკაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ფორმის, მათშორის M/XDR ტუბერკულოზისთვის;
2. ხარისხიან მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველაფორმის, მათშორის M/XDR ტუბერკულოზისთვის პაციენტის სათანადო მხარდაჭერით;
3. მხარდამჭერი გარემოს და სისტემების შექმნა ტუბერკულოზის ეფექტური კონტროლის მიზნით;

განვითარების რესურსები

- საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირების საშუალებით საჭირო ინფორმაციული, ინტელექტუალური, მატერიალური რესურსების მოძიება, მობილიზება და მათი რეალიზება
- არსებული მაღალკვალიფიციური ექიმების ინტელექტუალური და პროფესიონალური რესურსის უფრო ეფექტურად გამოყენება შიდა სტანდარტული მომსახურების შემოსავლების ზრდის მიზნით
- ჯგუფში შემავალი კომპანიების საშუალებით სამედიცინო სერვისებზე ტერიტორიალური ხელმისაწვდომობის გაფართოება

1.3. განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საწარმოში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს დახმარებით (საერთაშორისო ორგანიზაცია The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria - „აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდი“-ს დახმარების ფარგლებში) ქ.თბილისში ვეკუას ქუჩაზე შპს თბილისის N2 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკისათვის აშენდა ახალი ამბულატორიული მომსახურების შენობა
- დაბა აბასთუმანში საწარმოს შვილობილი კომპანია შპს „აბასთუმნის ფილტვის ცენტრი“- ისათვის აშენდა და ყველანაირი ძირითადი საშუალებით აღიჭურვა ახალი შენობა-ნაგებობა, რომელშიც ფუნქციონირება დაიწყო სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“-ს შვილობილმა საწარმომ შპს „ფილტვის დაავადებათა სარეაბილიტაციო ცენტრმა“ (100 საწოლთა ფონდი);
- ბიზნეს პროცესის და ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით განხორციელდა ორი შვილობილი საწარმოს რეორგანიზაცია/შერწყმა „შპს თბილისის №1 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი(ს/5206051074) და შპს თბილისის №5 ტუბდისპანსერი“ (ს/5208172591) და „შპს თბილისის №1 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი, გახდა შპს თბილისის №5 ტუბდისპანსერი“-ს სამართალმემკვიდრე;

- სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“-ს შვილობილ საწარმოებს შეიცვალა საფირმოს დასახელებები და იურიდიული მისამართები: 1. შპს თბილისის №1 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა“- „შპს თბილისის №1 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი“-ის მაგივრად, იურიდიული და ფიზიკური მისამართი: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, გორგასლის ქუჩა, N 81 2. შპს თბილისის №2 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა“- „შპს თბილისის №2 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი“-ის მაგივრად, იურიდიული და ფიზიკური მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ქუჩა ვეკუა , N 1. 3. შპს „აბასთუმნისფილტვისცენტრი“ შპს „აბასთუმნის ფილტვის ცენტრი“-ს მაგივრად, იურიდიული მისამართი: საქართველო, ადიგენის რაიონი, სოფელი აბასთუმანი.
- ტუბერკულოზის მკურნალობის ახალი თანამედროვე მედიკამენტების გამოყენების და სამედიცინო ლაბორატორიული გამოკვლევების სამკურნალო პროცესში ჩართვის მიზნით დაემატა ახალი მანიპულაციები;
- გაუმჯობესდა სენსიტიური ტუბერკულოზის შემთხვევების მკურნალობის შედეგები, მათ შორის სტაბილურად მცირდება მეთვალყურეობიდან დაკარგული პაციენტების წილი, რაც ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევაა.
- პენიტენციურ სისტემაში ტუბერკულოზის კონტროლის ღონისძიებები სრულად ინტეგრირდა ტუბერკულოზის ეროვნულ პროგრამაში, მათი ეფექტურობა ციხეებში დადასტურებულია აქტიური ტუბერკულოზის ინციდენტობის შემცირებით და მკურნალობის შედეგების გაუმჯობესებით, რაც ქვეყანაში არსებულ ზოგად ტენდენციას შეესაბამება.
- სატელევიზიო გადაცემების, ვებ სივრცეში განთავსებული სტატიების, რადიო ინტერვიუების საშუალებებით მოხდა მოსახლეობის ტუბერკულოზის დაავადების, მისი გავრცელების, მკურნალობის და სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“-ს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

1.4. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

1.4.1. არაფინანსური მაჩვენებლები

1.4.1.1 სოციალური და დასაქმების საკითხები

ჯგუფი მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

ახალ თანამშრომელს პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შინაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით. თანამშრომელს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

თანამშრომლის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავისი ანაზღაურება.

ჯგუფი ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის წელიწადში ერთხელ უფასო სამედიცინო გამოკვლევის ჩატარებით

ჯგუფი უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუწარიალობისა და კვალიფიკაციის ზრდას. შესაბამისად ანხორციელებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრეინინგებით. ტუბერკულოზი ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები დაავადებაა და საწარმოს თანამშრომლებს მაღალი რისკის სფეროში უწევთ მოღვაწეობა. რათა მაქსიმალურად შემცირებულ იქნეს მწირი კვალიფიციური პერსონალის კერძო სექტორში გადინება და საწარმომ შემდგომ მასზე სახელმწიფოს მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ხელი შეუწყოს კვალიფიციური კადრების განსაკუთრებით საქმედიცინო პერსონალის შენარჩუნებას/მოტივაციის პროცესს და მათი საქართველოს შრომით ბაზარზე არსებული კონკურენტული ანაზღაურებით უზრუნველყოფას. დასახული მიზნის მისაღწევად ჯგუფის ხელმძღვანელობა ცდილობს განავითაროს მომსახურების დამატებითი მიმართულებები, კერძოდ კი შიდა სტანდარტული მომსახურების მიმართულებით დაინერგოს ახალი მანიპულაციები, გაიზარდოს პაციენტთა ნაკადი და მაქსიმალურად ხელი შეეწყოს სახელობითი სამეცნიერო კვლევის პროგრამებში მონაწილეობას.

1.4.1.2 გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

ჯგუფი გარემოს დაცვაზე ზრუნვას და ნარჩენების მართვას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამედიცინო ნარჩენების განადგურება-უტილიზაცია ხორციელდება ტენდერში გამარჯვებული სპეციალიზირებული კონტრაქტორი კომპანიის საშუალებით.

ჯგუფი გარემოს დაცვის და ნარჩენების მართვის კუთხით ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ფუნქციონირებისას მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების დაგეგმვა და კონტროლი
- მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილება და მავნე ზემოქმედების კონტროლი
- თანამშრომელთა ინფორმაციული უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით

1.4.2. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ / ინფორმაცია ფილიალების შესახებ

ჯგუფს საანგარიშგებო პერიოდში არ მოუხდენია საკუთარი აქციების შეძენა. ჯგუფს არ აქვს ფილიალები (არც მშობელს და არც შვილობილ კომპანიებს).

1.4.3. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	2024	2023
EBITDA მარჟა	-11%	-3%
საოპერაციო მოგების მარჟა	-20%	-13%
წმინდა მოგების მარჟა	-18%	1%
მიმდინარე კოეფიციენტი	0.53	0.82
სწრაფი კოეფიციენტი	0.29	0.57

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფის წინაშე არსებული ძირითადი რისკებია ფინანსური და არაფინანსური რისკები

2.1. ფინანსური რისკები

- ეროვნული ვალუტის გაუფასურება
- ენერგომატარებლებზე და წყალზე ფასების ზრდა
- სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასების ზრდა
- მასალა ნედლეულზე (წამლები, რაქტივები და ა.შ) ფასების ზრდა
- პაციენტთა რაოდენობის შემცირება (ერთის მხრივ საწარმოს მიზანს ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხოვნების შემცირება , ხოლო მოერეს მხრივ საწარმოსთვის მოგების მიღება წარმოადგენს)

ფინანსური რისკების შემცირებისათვის ჯგუფი წლის დასაწყისში კანონის შესაბამისად ტენდერის სახით ახდენს საწვავის, სამომხმარებლო პროდუქციის, სამედიცინო პროდუქციის შეძენას. ჯგუფს მიაჩნია, რომ არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე, რადგან არ აქვს ისეთი ტიპის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც დაკავშირებული იქნება ინდექსებთან ან რაიმე სხვა ცვლადთან. ჯგუფს ასევე მიაჩნია, რომ არ დგას ფულადი ნაკადების ისეთი რისკის წინაშე, რომელიც საქმეს შეუშლის ჯგუფის სათანადო რეჟიმში ფუნქციონირებას და ოპერირებას, ჯგუფის ფულადი ნაკადების მიღების წყაროებიდან გამომდინარე.

2.2. არაფინანსური რისკები :

- დაავადების საწარმოს ტერიტორიიდან გავრცელების რისკი
- სპეციალიზირებული სამედიცინო აპარატურის მწყობრიდან გამოსვლა
- სამედიცინო-სამკურნალო საშუალებების(წამლები, რეაქტივები და ა.შ) მიმოქცევის მონიტორინგი და კონტროლი

არაფინასური რისკების მართვისათვის შემუშავებულია შესაბამისი სამუშაო ალგორითმი.

ტუბერკულოზი ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები დაავადებაა და მისი გავრცელების რისკი დაავადებულთა ასეთი რაოდენობის კონცენტრაციის პირობებში ძალიან მაღალია. ხსენებული რისკის მინიმუმადე დაყვანის მიზნით ჯგუფის ტერიტორიაზე ყველა დანაყოფში ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სადიზინფექციო და ტუბერკულოზით ჯანმრთელი ადამიანის ინფიცირების წინააღმდეგ შემუშავებული პროგრამა. თითოეულ თანამშრომელს უტარდება სპეციალური ინსტრუქტაჟი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ამასთან ერთად საწარმოს სამედიცინო და ადმინისტრაციული ნაწილი შენობებში ისეა განლაგებული, რომ მათ ერთმანეთთან კვეთა არ აქვთ. პაციენტებთან მხოლოდ სამედიცინო პერსონალს შესაბამისი პირობის დაცვით უწევს ურთიერთობა.

სპეციალიზირებული სამედიცინო აპარატურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ხდება მისი ჩანაცვლება გამართული აპარატურით, ხოლო დაზიანებული ტექნიკის აღსადგენად მისი სათადარიგო ნაწილის შეცვლა.

იქიდან გამომდინარე რომ ვადაგასული სამკურნალო საშუალებების გამოყენების შემთხვევაში პაციენტთან მიმართებაში სავალალო შედეგით შეიძლება დასრულდეს, კომპანიაში შექმნილია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც საშუალება იძლევა წინასწარ დროულად ამოვიდეს ბრუნვიდან საწარმოში არსებული შესაბამისი სამედიცინო-სამკურნალო საშუალებები. ბუნვიდან ამოღებული ვადაგასული სამედიცინო-სამკურნალო საშუალებები, ინახება სპეციალურ საწყობში და ექვემდებარება მოქმედი კანონმდებლობით ჩამოწერას და განადგურებას/უტილიზაციას.

ზაზა ავალიანი

დირექტორი

30 სექტემბერი 2025

თბილისი, საქართველო



არაფინასური რისკების მართვისათვის შემუშავებულია შესაბამისი სამუშაო ალგორითმი.

ტუბერკულოზი ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები დაავადებაა და მისი გავრცელების რისკი დაავადებულთა ასეთი რაოდენობის კონცენტრაციის პირობებში ძალიან მაღალია. ხსენებული რისკის მინიმუმადე დაყვანის მიზნით ჯგუფის ტერიტორიაზე ყველა დანაყოფში ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სადიზინფექციო და ტუბერკულოზით ჯანმრთელი ადამიანის ინფიცირების წინააღმდეგ შემუშავებული პროგრამა. თითოეულ თანამშრომელს უტარდება სპეციალური ინსტუქტაჟი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ამასთან ერთად საწარმოს სამედიცინო და ადმინისტრაციული ნაწილი შენობებში ისეა განლაგებული, რომ მათ ერთმანეთთან კვეთა არ აქვთ. პაციენტებთან მხოლოდ სამედიცინო პერსონალს შესაბამისი პირობის დაცვით უწევს ურთიერთობა.

სპეციალიზირებული სამედიცინო აპარატურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ხდება მისი ჩანაცვლება გამართული აპარატურით, ხოლო დაზიანებული ტექნიკის აღსადგენად მისი სათადარიგო ნაწილის შეცვლა.

იქიდან გამომდინარე რომ ვადაგასული სამკურნალო საშუალებების გამოყენების შემთხვევაში პაციენტთან მიმართებაში სავალალო შედეგით შეიძლება დასრულდეს, კომპანიაში შექმნილია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც საშუალება იძლევა წინასწარ დროულად ამოვიდეს ბრუნვიდან საწარმოში არსებული შესაბამისი სამედიცინო-სამკურნალო საშუალებები. ბუნვიდან ამოღებული ვადაგასული სამედიცინო-სამკურნალო საშუალებები, ინახება სპეციალურ საწყობში და ექვემდებარება მოქმედი კანონმდებლობით ჩამოწერას და განადგურებას/უტილიზაციას.

ზაზა ავალიანი

დირექტორი

30 სექტემბერი 2025

თბილისი, საქართველო